2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები

წინასაარჩევნო მონიტორინგის I შუალედური ანგარიში

24 ივლისი - 4 სექტემბერი

8 სექტემბერი, 2017

ამ დოკუმენტის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით, შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის“ (NED) მეშვეობით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის მხოლოდ „სამართლიან არჩევნებს“ და შესაძლოა არ გამოხატავდეს USAID-ის, აშშ მთავრობის ან NED-ის შეხედულებებს.

სარჩევი

I. შესავალი 2
II. ძირითადი დასკვნები 2
IV. ფიზიკური დაპირისპირება 5
V. ზეწოლა/მუქარა 6
VI. სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლება 7
VII. ოპოზიციური კანდიდატების საწინააღმდეგო კამპანია სოციალურ ქსელებში 7
VIII. დამოუკიდებელი კანდიდატების რეგისტრაციის პროცესი 9
IX. საუბნო საარჩევნო კომისიის დაკომპლექტება 10
X. ინციდენტი სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიაში 12
XI. „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებელისთვის ხელის შეშლა 13
XII. ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება 14
XIII. საბიუჯეტო ცვლილებები მუნიციპალიტეტებში 15
XIV. უფასო სამედიცინო სერვისი მუნიციპალიტეტებში 27
XV. საჯარო შეხვედრები და საარჩევნო სუბიექტების დაპირებები 29
XVI. სადამკვირვებლო მისიის შესახებ 32

I. შესავალი

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED) მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის მორიგი 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების გრძელვადიან წინასაარჩევნო დაკვირვებას 24 ივლისიდან ორგანიზაციის 70 გრძელვადიანი დამკვირვებლის მეშვეობით ახორციელებს. მონიტორინგი ხორციელდება შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) მხარდაჭერით. წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის პირველი შუალედური ანგარიში მოიცავს ძირითადად ა/წ **24 ივლისიდან 4 სექტემბრის** ჩათვლით პერიოდს, აგრეთვე მოვლენებს, რომელთა განვითარება 24 ივლისამდე დაიწყო და მონიტორინგის პერიოდშიც მიმდინარეობდა.

II. ძირითადი დასკვნები

პრეზიდენტის მიერ არჩევნების თარიღის დანიშვნასთან ერთად საარჩევნო კამპანია ოფიციალურად დაწყო, რასაც პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების პოლიტიკური გააქტიურება მოჰყვა.

„სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებლები 2017 წლის 24 ივლისიდან 4 სექტემბრამდე პერიოდში საარჩევნო სუბიექტების მიერ გამართულ 82 საჯარო შეხვედრას დააკვირდნენ. საანგარიშო პერიოდში წინასაარჩევნო კამპანია ძირითადად მშვიდ გარემოში მიმდინარეობდა.

ორგანიზაციის დაკვირვებით საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა **ფიზიკური დაპირისპირების 2; ზეწოლა-მუქარის 2; სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლების 1; ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების 3; დამკვირვებლისთვის ხელის შეშლის 1 ფაქტი. ამასთან, საუბნო საარჩევნო კომისიებიის დაკომპლექტება გარკვეული ხარვეზებით წარიმართა 8 საარჩევნო ოლქში. ადგილი ჰქონდა ოპოზიციური კანდიდატების საწინააღმდეგოდ მიმართულ დეზინფორმაციის კამპანიას სოციალური ქსელების მეშვეობით. საყურადღებო იყო საბიუჯეტო რესურსების სავარაუდო მობილიზების შემთხვევები 38 მუნიციპალიტეტში და უფასო სამედიცინო მომსახურების გაწევის 5 შემთხვევა.**

მნიშვნელოვან ტენდენციას წარმოადგენდა საბიუჯეტო ცვლილებები 40-მდე მუნიციპალიტეტში. 22 აგვისტოდან საარჩევნო კოდექსით იკრძალება ახალი სოციალური და ინფრასტრუქტურული პროექტების ინიცირება და შესაბამისი ცვლილებები სახელმწიფო, აჭარის ა/რ და ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტებში. შესაძლოა, სწორედ ამ ფაქტს უკავშირდება ის გარემოება, რომ არაერთი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მნიშვნელოვანი ცვლილებები ივნისის თვიდან აქტიურად ხორციელდებოდა, ხოლო სახელმწიფო და თვითმმართველობის ბიუჯეტით განსაზღვრული სოციალური და ინფრასტრუქტურული პროექტები ისეა დაგეგმილი, რომ მათი ძირითადი აქტივობები, ხშირ შემთხვევაში, საარჩევნო კამპანიის პერიოდს ემთხვევა. აღნიშნული ფაქტები საარჩევნო კოდექსის დარღვევას არ წარმოადგენს, თუმცა ქმნის შთაბეჭდილებას, რომ საარჩევნო პერიოდში ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების გააქტიურება და მათი

დაფინანსების ზრდა მიმართულია არჩევნების წინ ამომრჩეველთა კეთილგანწყობის გასაზრდელად მმართველი პარტიის სასარგებლოდ. მასიური ცვლილებები ადგილობრივ ბიუჯეტებში აჩენს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების განცდას და ხელს არ უწყობს არჩევნების წინ თანასწორი გარემოს შექმნას.

წინასაარჩევნო კამპანიის გააქტიურებასთან ერთად, კიდევ ერთი შესამჩნევი ტენდენცია იყო სოციალური ქსელით თბილისის მერობის ოპოზიციური კანდიდატების საწინააღმდეგო კამპანია სავარაუდოდ მათი დისკრედიტაციის მიზნით. საარჩევნო პერიოდის მოახლოებასთან ერთად შეინიშნებოდა სოციალურ ქსელ Facebook-ზე გარკვეული გვერდების გააქტიურება, რომელთა მეშვეობითაც თბილისის მერობის სხვადასხვა ოპოზიციური კანდიდატების წინააღმდეგ დასპონსორებული პოსტები ვრცელდებოდა. კანდიდატების განცხადებით, აღნიშნული პოსტები დეზინფორმაციას წარმოადგენს. „სამართლიანი არჩევნების“ შეფასებით, მსგავსი ფორმით წარმოებული კამპანია წინასაარჩევნო აგიტაციაა და უკანონო შემოწირულობას წარმოადგენს.

ორგანიზაციის დაკვირვებით, ხარვეზებით წარიმართა საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპექტების პროცესი ცალკეულ ოლქებში. პოლიტიკური პარტიების ნაწილი საუბრობდა ე.წ. „წინასწარი სიების“ არსებობაზე, რომლითაც საოლქო კოიმსიის წევრები იხელმძღვანელებდნენ საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებისას. სამართლიანი არჩევნების დაკვირვებით, ცალკეულ ოლქებში გადაწყვეტილების მიღების პროცესი გაუმჭვირვალე იყო და რიგ შემთხვევებში კითხვის ნიშნებს აჩენდა. ამასთანავე, საოლქო საარჩევნო კომისიები არ ითვალისწინებდნენ იმ გარემოებას, რომ ცალკეულ კანდიდატებს გასულ საპარლამენტო არჩევნებზე დაკისრებული ჰქონდათ დისციპლინური პასუხისმგებლობები და მათ კვლავ ირჩევდნენ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებად.

საანგარიშო პერიოდში ფიზიკური დაპირისპირების ორივე შემთხვევას სავარაუდო პოლიტიკური საფუძველი ჰქონდა და დაზარალებული პირების გასულ საპარლამენტო არჩევნებზე აქტივობას უკავშირდებოდა. ორივე შემთხვევასთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების მონიტორინგის პროცესში „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებელს საქმიანობაში ხელი შეუშალეს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელმა შეურაცხყოფა მიაყენა გრძელვადიან დამკვირვებელს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის გამო. აღნიშნული ფაქტი ხელს უშლის წინასაარჩევნო პროცესების დაკვირვებას და აკნინებს ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის გამჭვირვალობას.

შესამჩნევი იყო უფასო სამედიცინო სერვისების შეთავაზება ადგილობრივი მოსახლეობისთვის, რასაც ორგანიზებული ხასიათი ჰქონდა რამდენიმე მუნიციპალიტეტში. სხვადასხვა პროფილის ექიმებმა ადგილობრივ მოსახლეობას სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარეს და მათ მედიკამენტები და სამედიცინო აპარატურა უფასოდ გადასცეს. აღნიშნულ შეხვედრებზე არ ხდებოდა აგიტაცია რომელიმე პოლიტიკური პარტიის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ, თუმცა მსგავსი აქტივობების წინასაარჩევნო პერიოდში გააქტიურება შესაძლოა ასევე გამიზნული იყოს ამომრჩეველთა კეთილგანწყობის მოსაპოვებლად.

III. რეკომენდაციები

ადგილობრივ თვითმმართველობებს:

- დაიცვან პოლიტიკური ნეიტრალიტეტი და არ დაუშვან მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო თუ ადამიანური რესურსების გამოყენება პარტიული ინტერესების გასატარებლად;
- არ დაუშვან დასაქმებული პირების პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლება;
- არ დაუშვან საჯარო მოხელეების მიერ აგიტაციის გაწევა სამუშაო საათებში როგორც საჯაროდ ასევე სოციალური ქსელების მეშვეობით.
- ხელი არ შეუშალონ სადამკვირვებლო ორგანიზაციებისა და მათი წარმომადგენლების საქმიანობას, უზრუნველყონ თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული საჯარო მოხელეების მხრიდან პროფესიული ეთიკის დაცვა;
- საკუთარი საქმიანობის საჯაროობისა და გამჭვირვალობისთვის, უზრუნველყონ საჯარო ინფორმაციის დაბრკოლებების გარეშე გაცემა.

პოლიტიკურ პარტიებს, საარჩევნო სუბიექტებს და მათ წარმომადგენლებს:

- აღკვეთონ ყოველგვარი ძალადობრივი ფორმით ოპონენტებთან დაპირისპირება და უზრუნველყონ საკუთარი წარმომადგენლების, აქტივისტებისა თუ მხარდამჭერების მხრიდან კამპანიური აქტივობების ჩატარება ძალადობის გამოვლინების გარეშე;
- თავი შეიკავონ ოპონენტების წინააღმდეგ დეზინფორმაციის გავრცელებისგან, მათ შორის ონლაინ სივრცეში, და არ დაუშვან საკუთარი მხარდამჭერებისა თუ მესამე პირების მეშვეობით ოპონენტების წინააღმდეგ სიცრუეზე დაფუძნებული კამპანიის წარმოება;
- კამპანიის წარმოებისას დაიცვან საარჩევნო სუბიექტებისთვის დადგენილი ფინანსური ანგარიშგების წესები;
- თავი შეიკავონ საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობისათვის ხელის შეშლისგან.

საოლქო საარჩევნო კომისიებს

- გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაიცვან პოლიტიკური ნეიტრალიტეტი და საკუთარი საქმიანობისადმი ნდობის ამაღლებისთვის უზრუნველყონ მაქსიმალურად გამჭვირვალე, დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღება;
- უზრუნველყონ თვითმმართველობისა და სხვა იმ დაწესებულებებისგან დისტანცირება, რაც კანონით არის განსაზღვრული.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურს

- უზრუნველყოს ეფექტიანი მეთოდოლოგიის შემუშავება სოციალურ ქსელებში წარმოებული კამპანიისას უკანონო შემოწირულობის განხორციელების აღკვეთისთვის.

საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატების ბიუროებს

- აღკვეთონ ყოველგვარი აქტივობა, რომელიც პარტიის ინტერესებს უკავშირდება, მათ შორის ამომრჩეველთა გამოკითხვა და ანკეტირება.

IV. ფიზიკური დაპირისპირება

ახალციხე

16 ივლისს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილ კოორდინატორს, ბეგლარ კაპანაძეს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის მოქმედი და ყოფილი თანამშრომლები. ადვოკატი მიიჩნევს, რომ ბეგლარ კაპანაძის ფიზიკური ძალადობა პოლიტიკური ნიშნით მოხდა.

კაპანაძის ადვოკატმა ირაკლი ბარძიმაძემ „სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიან დამკვირვებელს ფაქტის დეტალები გააცნო. მისი განცხადებით, ოჯახის წევრებთან ერთად მომავალი ბეგლარ კაპანაძის მანქანა არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა ადგილობრივი თვითმმართველობის მოქმედმა და ყოფილმა თანამშრომლებმა გააჩერეს, მანქანიდან გადმოიყვანეს, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და ჩხუბის პროცესში, კაპანაძეს ახსენებდნენ წარსულში ნაციონალურ მოძრაობასთან კავშირს. ისინი ფიზიკურად ბეგლარ კაპანაძის მამასაც გაუსწორდნენ, რომელმაც შვილის დახმარება სცადა.

ადვოკატის განცხადებით, ინციდენტის ერთ-ერთი მონაწილე ახალციხის მერის ყოფილი მოადგილე ზაზა გელაძე იყო, რომელთანაც ბეგლარ კაპანაძეს წარსულში უთანხმოება ჰქონდა. კერძოდ, სოფელ ურაველის საარჩევნო უბანზე 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატმა გაიმარჯვა და მათი დაპირისპირებაც ამ ფაქტს უკავშირდებოდა.

მომხდართან დაკავშირებით, გამოძიებამ ბრალდებულად ხუთი პირი ცნო. მათგან სამი მერიის ყოფილი ხოლო ორი მოქმედი თანამშრომელია. ბრალდებულებიდან ოთხ პირს - ზაზა გელაძეს, დავით სამსონიძეს, გიორგი ლონდარიძეს და გრიგოლ რუხაძეს სისხლის სამართლის კოდექსის 126–ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა ედებათ ბრალად. ხოლო ერთს, ნოდარ კურტანიძეს - სისხლის სამართლის კოდექსის 118–ე მუხლის პირველი ნაწილითა და 120–ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში ედება ბრალი. მოსამართლემ ხუთივე მათგანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა, მათგან ოთხ პირს 3000 ლარი, ხოლო ერთს, ნოდარ კურტანიძეს 5000 ლარის გადახდა დაეკისრათ.

კასპი

28 ივლისს სოფელ თელიანში, „პატრიოტთა ალიანსის“ ორგანიზაციის წევრს - ხვთისო კორკოტაშვილს და ამავე სოფლის საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატს, ვახტანგ ბეჟიტაშვილს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოხდა. ორივე მათგანი ერთმანეთს ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფაში ადანაშაულებს. ხვთისო კორკოტაშვილის თქმით, 28 ივლისს, დაახლოებით დილის 10 საათზე, სოფელ თელიანში, საკუთარ საცხოვრებელი ბინის ეზოში ვაზს წამლავდა, რა დროსაც მისი სახლის წინ შავი ჯიპი გაჩერდა და იქიდან ვახტანგ ბეჟიტაშვილი თავის ახლობელთან, გურამ დავითაშვილთან ერთად გადმოვიდა. ორივე მათგანი ეზოში შევიდა და ხვთისო კორკოტაშვილის დედას ნათელა კორკოტაშვილს, სთხოვეს დაეტოვებინა ტერიტორია, რადგან მის შვილთან სალაპარაკო ჰქონდათ. ბეჟიტაშვილმა და მისმა თანმხლებმა პირმა კორკოტაშვილს გასული წლის არჩევნები გაუხსენა, სიტყვიერი

შეურაცხყოფა მიაყენეს და ეკითხებოდნენ თუ რატომ არ დაუჭირა მხარი ვახტანგ ბეჟიტაშვილს და რატომ მიემხრო ოპოზიციონერ ვაჟა ოთარაშვილს. ამის შემდგომ მათ კორკოტაშვილს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. ხმაურზე მისი მეუღლე და შვილები მივიდნენ, ყვირილი დაიწყეს და ითხოვდნენ პოლიციის გამოძახებას. ხვთისო კორკოტაშვილის დედამ მოგერიების მიზნით ბეჟიტაშვილს ქვები ესროლა. ერთ-ერთი ქვა, რომელიც ბეჟიტაშვილის მიმართულებით იყო გასროლილი მის მანქანას მოხვდა და მანქანის უკანა მინა ჩაიმტვრა. ბეჟიტაშვილმა საკუთარი ავტომობილიდან იარაღი ამოიღო და ფიზიკური განადგურებით დაემუქრა ხვთისო კორკოტაშვილს.

ბეჟიტაშვილი საპირისპიროდ აცხადებს, რომ სოფელში მანქანით მარტო გადაადგილდებოდა და კორკოტაშვილმა მის მიმართ გინება დაიწყო. ბეჟიტაშვილი იარაღის ამოღების ფაქტს უარყოფს. ამბობს, რომ კორკოტაშვილი მომხდარის შესახებ ცრუობს, დაზიანებები კი ურთიერთ დაპირისპირების შემდეგ მიიღეს.[1]

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით საქმეს შსს-ს კასპის რაიონული განყოფილება იძიებს.

V. ზეწოლა/მუქარა

<u>ახალქალაქი</u>

3 სექტემბერს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ახალქალაქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესა და მის მოადგილეზე განხორციელებული მუქარის შესახებ განცხადება გააკეთა.[2] „სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიანი დამკვირვებელი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს გაესაუბრა და მის ახსნა-განმარტებას გაეცნო, რომლის თანახმად, 1 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრის, სამველ პეტროსიანის წარმომადგენელმა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევი კონკურისთვის #40-ე ახალქალაქის საოლქო საარჩევნო კომისიაში რამდენიმე პირის განაცხადის დარეგისტრირება სცადა. საოლქო კომისიამ წარდგენილი განცხადებები არ დაარეგისტრირა რასაც ინციდენტი მოჰყვა. საოლქო საარჩევნო კომისიამ საპატრულო პოლიცია გამოიძახა. მოგვიანებით, სამველ პეტროსიანი და მისი შვილი გეორგ პეტროსიანი (გამგებლის რწმუნებული) ოლქის თავმჯდომარეს, ჰასმიკ მარანგოზიანს დაემუქრნენ, მათ შორის სიცოცხლის მოსპობით და სახლის გადაწვით. კომისიის თავმჯდომარის მოადგილის განცხადებით, პეტროსიანი ქუჩაში მასაც დაემუქრა.

დამკვირვებელი ასევე გაესაუბრა გეორგ პეტროსიანს, რომელმაც დაადასტურა, რომ მათმა წარმომადგენელმა რამდენიმე პირის განცხადება დასარეგისტრირებელად მიიტანა, რადგან განმცხადებლებს სოფლებიდან მოსვლა გაუჭირდათ, ამასთან მისი თქმით, განცხადებების ასეთი ფორმით დარეგისტრირება ამ ოლქში დამკვიდრებული პრაქტიკა იყო. პეტროსიანმა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიმართ მუქარის ფაქტი უარყო.

---

[1] http://www.qartli.ge/ge/akhali-ambebi/article/6244-thelianshipatriotthaaliansistsarmomadgenelicemes

[2] იხ, ცესკოს განცხადება: http://cesko.ge/geo/list/show/111333-tseskos-gantskhadeba-saolqo-saarchevno-komisiis-tavmdjdomaris-mimart-muqaris-shesakheb

<u>საგარეჯო</u>

„სამართლიანი არჩევნების“ ინფორმაციით, 2017 წლის 2 სექტემბერს ნინოწმინდის საჯარო სკოლის დირექტორმა დავალება მიიღო, რომ 5 სექტემბერს თელავში პარტია „ქართული ოცნების“ კანდიდატთა წარდგენაზე სკოლიდან რაც შეიძლება მეტი პედაგოგი მისულიყო. ანალოგიური ინფორმაცია გავრცელდა ბაღის პედაგოგების მხრიდან და ასევე საგარეჯოს #1 საჯარო სკოლის პედაგოგის და სოფელ ყანდაურის საჯარო სკოლის პედაგოგებთან დაკავშირებით.

VI. სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლება

<u>ოზურგეთი</u>

ოზურგეთის მერიის თემში გამგებლის წარმომადგენელ გრიგოლ კოსტავას 4 სექტემბერს, ოზურგეთის გამგეობამ ხელშეკრულება აღარ გაუგრძელა. კოსტავას განცხადებით, ის სამსახურიდან პოლიტიკური პოზიციის გამო გაუშვეს. მისი თქმით, რამდენიმე დღის წინ, სამუშაო დროს ოზურგეთის მერიაში დაიბარეს. მერიის ადმინისტრაციულ შენობაში მისვლის შემდეგ, მას უთხრეს, რომ მერის - ბეგლარ სიორიძის კაბინეტში შესულიყო. როგორც კოსტავა ამბობს, მერის კაბინეტში რამდენიმე საჯარო პირი იყო. მისი თქმით, სიორიძემ ჰკითხა თუ რას აპირებდა არჩევნებზე, რაზეც კოსტავამ უპასუხა, რომ მხარს უჭერს თემის მაჟორიტარს და პარტიას. აღნიშნულზე სიორიძემ განმეორებით ჰკითხა, უჭერდა თუ არა მხარს პირადად მას. რაზეც კოსტავამ უპასუხა რომ მერის პოზიციაზე ის დამოუკიდებელ კანდიდატს, კობა შარაშელიძეს უჭერდა მხარს. კოსტავა აცხადებს, რომ სამსახურიდან ის პოლიტიკური პოზიციის გამო გაუშვეს.

VII. ოპოზიციური კანდიდატების საწინააღმდეგო კამპანია სოციალურ ქსელებში

ჯერ კიდევ ოფიციალური წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებამდე, სოციალურ ქსელ Facebook-ში გააქტიურდა სხვადასხვა გვერდები, რომლებიც თბილისის მერობის ოპოზიციურ კანდიდატად დასახელებული პირების საწინააღმდეგოდ ძირითადად დეზინფორმაციას ავრცელებენ. ხშირ შემთხვევაში, ამ გვერდებზე გავრცელებული ინფორმაცია დასპონსორებულია. საგულისხმოა, რომ რამდენიმე ონლაინ მედია-პორტალი ამ ტიპის ინფორმაციას თავის პორტალზე ათავსებს და გადამოწმების გარეშე, როგორც უტყუარ ფაქტს ისე წარუდგენს საზოგადოებას.[3] ყველა ასეთ შემთხვევაში, გაურკვეველია ინდივიდი ან ორგანიზაცია, რომელიც გავრცელებული ინფორმაციის უკან დგას და ვინ იხდის თანხას ამგვარი პოსტების რეკლამირებაში.

[3] იხ. მაგალითად: http://exclusivenews.ge/post/63940

27 აგვისტოს რამდენიმე Facebook გვერდზე (ვინ გვესაუბრება; ძაან უდუმაშვილი) გავრცელდა ინფორმაცია, რომ ნაციონალური მოძრაობის წევრები ალეკო ელისაშვილს სასარგებლოდ მხარდამჭერთა ხელმოწერებს აგროვებდნენ. ინფორმაციას თან ახლავს ვიდეო, რომელშიც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაისურში ჩაცმული რამდენიმე პირი ხელმოწერებს აგროვებს. ვიდეო კადრებიდან ამ პირების იდენტიფიცირება შეუძლებელია. აღნიშნული ინფორმაცია უარყო როგორც ელისაშვილმა, ასევე თავად ნაციონალურმა მოძრაობამ. აღნიშნულ ფაქტზე ელისაშვილმა პოლიციას მიმართა და მოითხოვა იმ პირების იდენტიფიცირება, რომლებიც ხელმოწერების შეგროვებაში მონაწილეობდნენ.[4]

ალეკო ელისაშვილი მიჩნევს, რომ აღნიშნული ფაქტი მისი კამპანიისთვის ხელის შეშლას წარმოადგენს.[5]

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ერთ-ერთ ფეისბუქ გვერდზე („ვინ გვესაუბრება“) ოპოზიციური კანდიდატების - ელენე ხოშტარიას, ზაალ უდუმაშვილის და ალექსანდრე ელისაშვილის შესახებ სხვადასხვა შინაარსის ინფორმაცია ვრცელდება, რომელსაც თავად კანდიდატები უარყოფენ. პოსტების შინაარსი ნეგატიურია და მიმართულია მერობის ოპოზიციური კანდიდატების დისკრედიტაციისკენ ან შეიცავს დეზინფორმაციას.[6] ეს პოსტები ხშირ შემთხვევაში დასპონსორებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ გვერდის შემქმნელი ინფორმაციის გავრცელებისთვის ფულად სახსრებს ხარჯავს[7].

საარჩევნო კოდექსის თანახმად, აღნიშნული აქტივობა წინასაარჩევნო აგიტაციას წარმოადგენს. კოდექსის მე-2 მუხლის „3[1]“ პუნქტისს თანახმად, „წინასაარჩევნო აგიტაცია არის ამომრჩეველთა მოწოდება საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ნებისმიერი საჯარო მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის მის არჩევას, ან/და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს...“. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონის 25-ე მუხლის თანახმად, შემოწირულობად ითვლება გაცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე პირის მხარდაჭერისგან თავის შეკავების მიზნით გაწეული ფულადი ხარჯი, მიუხედავად იმისა, იდენტიფიცირებადია თუ არა ასეთი სახსრების მიმღები.

მოცემულ შემთხვევაში მსგავსი ფეისბუქ გვერდების ადმინისტრატორების მიერ კანდიდატების წინააღმდეგ დამზადებული პოსტების რეკლამირებისთვის გაწეული ფინანსური სახსრები და მომსახურება უნდა ჩაითვალოს უკანონო შემოწირულობად. მიუხედავად ამისა, მსგავსი აქტივობის ფინანსური მონიტორინგის ეფექტური მეთოდოლოგია არ არსებობს და აღნიშნულ ფაქტებზე რეაგირება მნიშვნელოვან სირთულეებს უკავშირდება.

სოიალურ ქსელებში დისკრედიტაციის კამპანია კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ონლაინ საშუალებებისა და სოციალური მედიის გამოყენებით საარჩევნო აგიტაციის ეფექტიანი საკანონმდებლო რეგულაციების არარსებობას და ცხადყოფს რომ ინტერნეტ სივრცის საარჩევნო მიზნებით გამოყენება საარჩევნო პროცესის მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

---

[4] იხ. ნეტგაზეთის მიერ მომზადებული სტატია: http://netgazeti.ge/news/217206/

[5] იხ. საინფორმაციო მასალა: https://www.facebook.com/AlexanderElisashvili/videos/1664808136884660/

[6] ერთ-ერთი დასპონსორებული პოსტის შინაარსის მიხედვით, ელისაშვილი ნატა ფერაძეს ორ თანამდებობაზე მოიაზრებს. მეორე პოსტის მიხედვით, ევროპული საქართველოს თბილისის მერობის კანდიდატი, ელენე ხოშტარია კანდიდატურის მოხსნას გეგმავს. ასევე, ერთ-ერთი პოსტის ტანახმად, ზაალ უდუმაშვილის მხარდამჭერები ელისაშვილისთვის ხელმოწერებს აგროვებენ და ა.შ.

[7] იხილეთ ფოტო: http://isfed.ge/admin/editor/uploads/images/elisashvili_nata%20feradze.jpg

VIII. დამოუკიდებელი კანდიდატების რეგისტრაციის პროცესი

საანგარიშო პერიოდში ყურადღების ცენტრში მოექცა დამოუკიდებელი კანდიდატის რეგისტრაციისა და მხარდამჭერთა სიების წარდგენის ვადები.

24 აგვისტოს ალექსანდრე ელისაშვილმა, რომელიც თბილისის მერის არჩევნებში კენჭისყრას დამოუკიდებელი კანდიდატის სტატუსით აპირებს, განაცხადა, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 10,000 [9,587] მხარდამჭერის ხელმოწერის შეგროვება უსამართლოდ და უკანონოდ დაავალა.[8]

აღნიშნული განცხადება უკავშირდება ცესკოს 21 აგვისტოს #32 დადგენილებას, რომელიც განსაზღვრავს მერის არჩევნებისათვის ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ მერობის კანდიდატის წარდგენისა და რეგისტრაციის პროცედურებს. ინსტრუქციის თანახმად, თბილისის მერობის კანდიდატად რეგისტრაციისთვის საინიციატივო ჯგუფმა ცესკოს უნდა მიმართოს კენჭისყრამდე არაუგვიანეს 57-ე დღისა, ხოლო არაუგვიანეს 50-ე დღისა საინიციატივო ჯგუფმა საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინოს კანდიდატის მხარდამჭერ ამომრჩეველთა ხელმოწერები. აღნიშნული სია უნდა იყოს შესაბამის საარჩევნო ოლქში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 1%.

საგულისხმოა, რომ საარჩევნო კოდექსის 167-ე მუხლის მე-4 პრიმა პუნქტი პარტიისა და საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ კანდიდატებს რეგისტრაციის განსხვავებულ ვადებს უწესებს. ამასთან, საინიციატივო ჯგუფების რეგისტრაციისა და მხარდამჭერთა სიების წარდგენისთვის დაწესებული ვადა ხანმოკლეა, რაც დამოუკიდებელ კანდიდატისთვის დისკრიმინაციულია და პარტიებთან მიმართებით არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს.

ამასთან, კანონი მხარდამჭერთა სიების წარდგენისას არ ითვალისწინებს შესაბამის ოლქში რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობას და ერთნაირ ვადას აწესებს ყველა ოლქისათვის, მიუხედავად ამომრჩეველთა რაოდენობისა.

დამოუკიდებელ კანდიდატად რეგისტრაციის ვადებთან დაკავშირებით საყურადღებო იყო ასევე ის ფაქტიც, რომ ბათუში მერობის დამოუკიდებელ კანდიდატად ვერ დარეგისტრირდა კახაბერ ცისკარიძე, რომელმაც 28 აგვისტოს, ჟურნალისტებს ბათუმის მერად კენჭისყრის გადაწყვეტილება გააცნო. როგორც ბათუმის #79-ე საოლქო საარჩევნო კომისიის მხრიდან მოგვიანებით გახდა ცნობილი, საინიციატივო ჯგუფმა, რომელიც ცისკარიძის მერის კანდიდატად წარდგენას გეგმავდა, საოლქო საარჩევნო კომისიას რეგისტრაციისათვის კანონით განსაზღვრულ ვადებში არ მიმართა. აღსანიშნავია, რომ ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიაში მერის დამოუკიდებელი კანდიდატურის წარდგენისათვის არცერთი საინიციატივო ჯგუფი არ დარეგისტრირებულა.

[8] იხ. ელისაშვილის განცხადება: http://go.on.ge/g0m

IX. საუბნო საარჩევნო კომისიის დაკომპლექტება

<u>ბათუმი</u>

#79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიაში უბნების დაკომპლექტებასთან დაკავშირებით სხდომა 4 სექტემბერს გაიმართა. 102 უბანზე 886 განაცხადი იყო შესული. როგორც სხდომის დაწყებისთანავე ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ციალა შავაძემ აღნიშნა, კომისიას კონკურსის დასრულების შემდეგ 4 დღე ჰქონდათ იმისათვის, რომ კონკურსანტთა განაცხადები განეხილა და კონკურსანტებთან დაკავშირებით პოზიციებზე შეჯერებულიყო. შესაბამისად სხდომაზე განაცხადების განხილვა, კონკურსანტთა სახელობითი სიის გაცნობა და გადაწყვეტილებების ღიად დაფიქსირება არ მომხდარა. საოლქო კომისიის წევრების უმეტესობა, მათ შორის პროფესიული ნიშნით არჩეული წევრებიც, სარგებლობდნენ კონკურსანტთა საერთო სიით ე.წ სამუშაო ვერსით, სადაც მონიშნული ჰქონდათ, თუ ვინ უნდა აერჩიათ და ეს მონაცემები გადაჰქონდათ უბნების მიხედვით ამობეჭდილ სიებში. ფაქტობრივად სხდომა იყო ფორმალური პროცესი, და ცხადი იყო, რომ საოლქო საარჩევნო კომისიას გადაწყვეტილებები უკვე მიღებული ჰქონდა და სხდომაზე მხოლოდ დოკუმენტურად მათი ასახვა ხდებოდა.

საყურადღებო და აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გადაწყვეტილებების მონაცემთა ბაზაში შეყვანის პროცესზე დაკვირვებით გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ოლქის პროფესიული ნიშნით არჩეული წევრებისა და „ქართული ოცნების“ წევრის მიერ კონკურსანტებთან მიმართებაში მიღებული გადაწყვეტილებები თითქმის ყველა შემთხვევაში ერთმანეთს ემთხვეოდა. „ქრისტიან კონსერვატორების“ წევრი სხდომას ესწრებოდა, თუმცა არჩევაში მონაწილეობა არ მიუღია. ასევე, აღსანიშნავია, რომ კომისიის წევრი „პატრიოტიოთა ალიანსიდან“ ყველა კონკურსანტის სასარგებლოდ აკეთებდა არჩევანს.

საოლქო კომისიამ ყველა 102-ვე უბანი სრულად დააკომპლექტა 6-6 წევრით.

<u>ქუთაისი</u>

ქუთისის საოლქო საარჩევნო კომისიამ საუბნო საარჩევნო კომისიები 53 ისეთ წევრით დააკომპლექტა, რომელთაც გასულ საპარლამენტო არჩევნებზე საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისთვის დისცილინური პასუხისმგებლობა ჰქონდათ დაკისრებული. მათგან 7 წევრს, დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრათ საპარლამენტო არჩევნების ორივე ტურში.

<u>ჩოხატაური</u>

ჩოხატაურის #62 საოლქო საარჩევნო კომისიაში, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მიზნით 278 განცხადება შევიდა. „სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიანმა დამკვირვებელმა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების კონკურსის დასრულების შემდეგ გამოითხოვა კონკურსანტთა სია. გადამოწმების შედეგად სიაში ძირითადად ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენლების, ადგილობრივ თვითმმართველობაში დასაქმებული პირების, საკრებულოს დეპუტატების ოჯახის წევრები და ნათესავები აღმოჩდნენ.

„სამართლიანი არჩევნების“ დაკვირვებით, საოლქო სარჩევნო კომისიის წევრები წინასწარ იყვნენ შეთანხმებულნი იმის შესახებ თუ ვინ უნდა აერჩიათ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებად, რადგან ხმის მიცემის დასრულების შემდეგ, უმეტესწილად სწორედ ის პირები იქნა არჩეული ვინც ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენლების, მაჟორიტარი დეპუტატების, ადგილობრივ თვითმმართველობაში დასაქმებული პირების, საკრებულოს დეპუტატების ოჯახის წევრები და ნათესავები არიან.

<u>ხობი</u>

ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა გამჭვირვალედ მიმდინარეობდა, საოლქო კომისიის თავმჯდომარე თითოეული უბნის კანდიდატს განიხილავდა ცალ ცალკე, შემდგომ მდივანი აჯამებდა მიღებულ ქულებს და დამსწრეებს აცნობდა არჩეულ წევრს. თუმცა, საინტერესო ფაქტია, რომ ყველა უბანზე, კენჭისყრაში მონაწილე კომისიის წევრებმა ხმა მისცეს თითოეულ უბანზე კანდიდატების სიაში პირველ 6-ს. ჯამში საოლქო საარჩევნო კომისიაში შესული იყო 218 განაცხადი, ხოლო კომისიამ მათგან 192 შეარჩია.

<u>ვაკე</u>

ვაკის საოლქო საარჩევნო კომისიამ #11-ე საუბნო კომისიის წევრად აირჩია, ქეთევან წევგუაშვილი. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ქალბატონი წევგუაშვილი იყო იმავე საუბნო საარჩევნო კომისიის თავჯდომარე. არჩევნების დასრულების შემდგომ, მან ოქმი, ბეჭედი და სხვა დოკუმენტაცია სახლში წაიღო და საოლქო კომისიაში მხოლოდ მას შემდეგ მოიტანა, რაც საოლქო საარჩევნო კომისიის თავჯდომარემ, თამაზ ფოლადაშვილმა დაურეკა და გააღვიძა. საგულისხმოა, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით 2016 წელს „სამართლიანმა არჩევნებმა“ საოლქო საარჩევნო კომისიაში საჩივარი წარადგინა და წევგუაშვილისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვა, თუმცა საოლქო საარჩევნო კომისიამ საჩივარი არ დააკმაყოფილა.

<u>ბოლნისი</u>

2017 წლის 1 სექტემბერს #23 საოლქო საარჩევნო კომისიაში საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ვაკანტურ ადგილებზე განაცხადების განხილვისას აღმოჩნდა რომ სამ კანდიდატს - ია ქოქოსაძეს, ბახადინ გასანოვს და ამირხან მამედოვს - 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების ოქმის შევსების დროს დაშვებული შეცდომების გამო დისციპლინარული სახდელები ჰქონდათ დაკისრებული. თუმცა, საოლქო საარჩევნო კომისიამ აღნიშნული ფაქტის მიუხედავად სამივე პირი აირჩია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებად.

<u>კასპი</u>

კასპის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ სხდომაზე შერჩეულ იქნა 228 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი. მათგან 7 არჩეულ წევრს გასულ საპარლამენტო არჩევნებზე, საარჩევნო კანონდებლბის დაღვევისთვის დაკისრებული ჰქონდა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები.

ქობულეთი

4 სექტემბერს, ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისიამ საუბნო კომისიის წევრების შესარჩევად სხდომა ჩაატარა. სხდომას ესწრებოდა კომისიის ყველა წევრი. მიუხედავად იმისა, რომ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" სხდომაზე ყავდა ოლქში ოფიციალური აკრედიტებული წარმომადგენელი, სხდომას ამ პარტიიდან მაინც ესწრებოდა აკრედიტაციის გარეშე სამი არაუფლებამოსილი პირი, მათ შორის საკრებულოს ორი წევრი (მერაბ ცინცაბაძე, ბონდო თედორაძე) და მათი მხარდამჭერი ერთი მოქალაქე. არაუფლებამოსილმა პირებმა არ გაითვალისწინეს ოლქის თავმჯდომარის მოთხოვნა სხდომის დატოვების თაობაზე.

საოლქო საარჩევნო კომისიის ზოგიერთი წევრი თავიანთ არჩევანს უბნების მიხედვით ამობეჭდილ სიაში აკეთებდნენ საერთო სიის სამუშაო ვერსიის დახმარებით, სადაც მონიშნული ქონდათ ასარჩევი პირები. სხდომაზე საოლქო კომისიის წევრი „მრეწველებიდან" ასლან წულუკიძე ინდივიდუალურად არ მუშაობდა და უბნის წევრების შესარჩევად იყენებდა გვერდით მჯდომი „ქართული ოცნებიდან" წევრის ნანი ცივაძის სიის სახელმძღვანელო ვერსიას.

X. ინციდენტი სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიაში

სამტრედია

1 სექტემბერს სამტრედიის #54 საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა ხმაურიანი ინციდენტის გამო გადაიდო. სხდომაზე მისული „სამართლიანი არჩევნების" დამკვირვებელი შეესწრო თუ როგორ შევიდნენ ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის წარმომადგენლები კომისიის სხდომათა დარბაზში გმგეობასთან დამაკავშირებელი კედლის გავლით. ხმაურის გამო საოლქო კომისიის თავმჯდომარემ საპატრულო პოლიცია გამოიძახა.

საგულისხმოა, რომ სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისია განთავსებულია სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში. მას აქვს დამოუკიდებელი შესასვლელი, ხოლო მეორე, გამგეობის შენობის ნაწილში გასასვლელი კარი ბოლო წლებში გადაკეტილი იყო ე.წ. გიფსო-კარდონის კონსტრუქციით.

ზაფხულში საოლქო საარჩევნო კომისიის საზაფხულო სკოლის ტრენინგებისას გამგეობის ნაწილში გასასვლელი კედელი მოიშალა და გასასვლელი გაიხსნა მაგრამ ტრენინგების დასრულების შემდეგ არასაკმარისად გადაიხერგა. სწორედ ამ ფაქტის გაპროტესტების მიზნით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" და „ქრისტიან-კონსერვატორების" წევრები დემონსტრაციულად გამოცხადდნენ საოლქო კომისიაში გამგეობასთან დამაკავშირებელი ამ კედლის გავლით. ისინი ამავდროულად აწარმოებდნენ ვიდეო გადაღებას. მათ დააფიქსირეს, რომ საოლქო კომისიიდან გამგებლის კაბინეტში გასვლა შიდა გასასვლელით თავისუფლად არის შესაძლებელი.

„სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებელი შეხვდა ენმ-ის წევრებს მამუკა ბიბილეიშვილსა და ემზარ შუბლაძეს, რომლებიც საკრებულოს წევრები არიან. მათი განმარტებით, საოლქო საარჩევნო კომისია არღვევს კანონს, რადგან არ არის იზოლირებული ადმინისტრაციული შენობისგან, ამასთან დიდ ეჭვს ბადებს ოლქისა და გამგეობის შორის შიდა გადასასვლელი გზა. ენმ-ის წევრების მიერ გადაღებულ ვიდეოზე დაფიქსირებულია პარტიის წარმომადგენლების გამგეობიდან ოლქის შენობაში გადასვლა, საოლქო კომისიის თავჯდომარის კაბინეტიდან გამგებლის კაბინეტთან გადაადგილება და უკან დაბრუნება. მათი თქმით, მოახდინეს იმის დემონსტრირება, რომ ანალოგიური გზის გავლა თავისუფლად შეუძლიათ გაიარონ კომისიამ და გამგებელმა.

საგულისხმოა, რომ საარჩევნო კოდექსის მე-19 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, აკრძალულია საოლქო საარჩევნო კომისიის იმავე შენობაში განთავსება, რომელშიც მდებარეობს სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო – საკრებულო ან გამგეობა, პარტია, სასამართლო, პოლიციის დანაყოფი ან საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დანაყოფი. შესაბამისად, ის ფაქტი რომ საოლქო საარჩევნო კომისია გამგეობისგან იზოლირებული არ არის, აღნიშნული მუხლის მოთხოვნის დარღვევას წარმოადგენს და საოლქო კომისიის გამჭვირვალობას საფრთხეს უქმნის. მეორეს მხრივ, საარჩევნო პროცესში ჩართულმა მხარეებმა თავის აქტივობები საარჩევნო კომისიის საქმიანობისათვის ხელის შეშლის გარეშე უნდა წარმართონ.

XI. „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებელისთვის ხელის შეშლა

11 აგვისტოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა, გიორგი მესხიშვილმა „სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიანი დამკვირვებელი საკრებულოში დაიბარა და შეხვედრა თხოვა. შეხვედრაზე, ცხადი გახდა, რომ მესხიშვილი ნასვამი იყო. მან დამკვირვებელის მიერ ორგანიზაციის სახელით საჯარო ინფორმაციის გამოსათხოვად შეტანილი წერილის[9] განხილვა აგრესიულად დაიწყო და აკრიტიკებდა განცხადების თითოეულ კითხვას. შემდეგ, მესხიშვილმა დამკვირვებელს წინ დაულაგა „საკანონმდებლო მაცნედან“ ამოღებული გვერდების ასლები, სულ 130 ფურცელი და განუცხადა, რომ წერილში დასმულ კითხვებზე პასუხი იქ ეწერა და მოსაკრებლის გადახდამდე არ გაატანდა. დამკვირვებელმა უპასუხა, რომ საჯარო ინფორმაციის ასლის მოსაკრებელი არაერთხელ გადაუხდია და ამ შემთხვევაშიც გადაიხდიდა.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც მესხიშვილი საჯარო მოხელის ეთიკის სტანდარტს არღვევს და შეურაცხყოფას აყენებს დამკვირვებელსა და მის წარმდგენ ორგანიზაციას საჯარო ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მისთვის მიუღებელია გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის შინაარსი და ამ მიზეზით შეურაცხყოფს დამკვირვებელს.

[9] „სამართლიანმა არჩევნებმა“ საჯარო ინფორმაცია ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შესახებ ყველა მუნიციპალიტეტიდან, მათ შორის ლაგოდეხიდანაც გამოითხოვა.

XII. ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება

<u>ტყიბული</u>

19-20 აგვისტოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხურაში ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატის ელგუჯა გოცირიძის ბიურომ მოსახლეობის ანკეტირება ჩაატარა. გამოკითხვის დროს ანკეტაში აღინიშნებოდა გამოკითხულთა ასაკი და სქესი. გამოკითხვა ეხებოდა მუხურაში არსებულ პრობლემებს და ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატის ელგუჯა გოცირიძის საქმიანობის შეფასებას. ერთ-ერთი კითხვა ასევე შეეხებოდა ადგილობრივ არჩევნებს, კერძოდ, ბიუროს წარმომადგენლები იკვლევდნენ ვის ისურვებდნენ „ქართული ოცნების“ მიერ წარდგენილ საკრებულოს დეპუტატობის კანდიდატად ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში. აღსანიშნავია, რომ ინტერვიუერები არ ამბობდნენ საკუთარ ვინაობას და არ ასახელებდნენ რომელი ორგანიზაციის სახელით ატარებდნენ გამოკითხვას. საკითხთან დაკავშირებით, „სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიანი დამკვირვებელი ელგუჯა გოცირიძის ბიუროს თანამშრომლებს გაესაუბრა. ბიუროს თანამშრომლების თქმით, ეს სოციოლოგიური გამოკითხვა დაიწყეს ივნისიდან და უკვე გამოკითხეს რამდენიმე სოფლის მოსახლეობა (მოწამეთა, კურსები და სხვა). ბიუროს თანამშრომლები ამბობენ, რომ მათი საქმიანობა არჩევნებს არ უკავშირდება და თვითმმართველობის შესახებ კითხვა მხოლოდ მუხურის შემთხვევაში იყო დასმული. ხოლო, ვინაობას იმ მიზეზით არ ასახელებდნენ, რომ გავლენა არ მოეხდინათ მოსახლეობის პასუხებზე. მათი ინფორმაციით, გამოკითხვა დაახლოებით ერთ წელიწადს გაგრძელდება და საბოლოო შედეგებს გაასაჯაროვებენ.

<u>ოზურგეთი</u>

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პრესსამსახურის ხელმძღვანელმა, ნათია ზედგინიძემ 4 სექტემბერს სამუშაო დროს, თავის Facebook-ის გვერდზე გააზიარა primetime.ge-სა და pia.ge-ს ინფორმაცია „ქართული ოცნების“ მიერ ოზურგეთის პარტიული სიის მეორე ნომრად გიორგი ღურჯუმელიძის წარდგენის შესახებ.

- ქალაქ ოზურგეთის მერიის თანამშრომელმა სარო სარიშვილმა 1 სექტემბერს სამუშაო დროს 2–ჯერ გააზიარა მერის კანდიდატის ბეგლარ სიორიძის ფოტო, რომლის ფონად „ქართული ოცნების“ პარტიული ნომერი და სლოგანია გამოსახული.

XIII. საბიუჯეტო ცვლილებები მუნიციპალიტეტებში

არჩევნების მოახლოებასთან ერთად, მასიური სახე ჰქონდა ცვლილებებს მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში. „სამართლიანმა არჩევნებმა“ მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო ცვლილებების დაკვირვება ივნისის თვიდან განახორციელა. ამ პერიოდში ბიუჯეტის ცვლილებისა და სოციალური პროექტების დაწყების 40-მდე ფაქტი გამოვლინდა. ცვლილებების შედეგად, უმეტეს შემთხვევაში გაიზარდა ინფრასტრუქტურული და სოციალური პროგრამების დაფინანსება. აღნიშნულის საფუძველს ხშირ შემთხვევვაში წარმოადგენდა 2017 წლის 14 მარტის საქართველოს მთავრობის N480-ე განკარგულება, რომლის საფუძველზეც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებს გამოეყო 72,322,208 ლარი. აღნიშნული თანხით, ცალკეულ მუნიციპალიტეტებში დაიგეგმა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.[10]

საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, არჩევნების დღემდე მე-60 დღიდან არჩევნების დღის ჩათვლით დაუშვებელია ისეთი პროგრამების/პროექტების განხორციელება, რომელიც მანამდე გათვალისიწინებული არ იყო ხელისუფლების მიერ. ასევე სოციალური გასაცემლების (პენსია, სოციალური დახმარება, და სხვა) ოდენობის ზრდა.[11] შესაძლოა, სწორედ ამ ფაქტს უკავშირდება ის გარემოება, რომ რამდენიმე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მნიშვნელოვანი ცვლილებები ივნისის თვიდან აქტიურად ხორციელდებოდა, ხოლო სახელმწიფო და თვითმმართველობის ბიუჯეტით განსაზღვრული სოციალური და ინფრასტრუქტურული პროექტები ისეა დაგეგმილი, რომ მათი ძირითადი აქტივობები, ხშირ შემთხვევაში, საარჩევნო კამპანიის პერიოდს ემთხვევა.

მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტებში ცვლილებები ფორმალურად საარჩევნო კოდექსის დაცვით განხორციელდა, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ცვლილებების შედეგად ინიცირებული პროექტების განხორციელება აქტიურ წინასაარჩევნო კამპანიას დაემთხვევა, რაც წლების განმავლობაში დამკვიდრებული არასწორი პრაქტიკის გაგრძელებაა.

<u>ჩოხატაური</u>

- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივნისის N12-ე დადგენილებით დამტკიცებული ცვლილებების მიხედვით მუნიციპალიტეტის პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რომლის საფუძველზეც დაიგეგმა გზების მშენებლობა, კულტურული ცენტრების რეაბილიტაცია და არსებული დაწესებულებების ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება.

- ივლის-აგვისტოს თვეში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში გავრცელდა ინფორმაცია, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულები „ქართული ოცნების“ მხარდამჭერ მოქალაქეებს მოუწოდებენ განცხადებით მიმართონ გამგეობას და

[10] იხ. საქართველოს მთავრობის N480-ე განკარგულება: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3612175
[11] საქართველოს ორგანული კანონი ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, მუხლი 49;

ერთჯერადი დახმარება მოითხოვონ, რასაც მუნიციპალიტეტის გამგეობა დააკმაყოფილებს. „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებლის ინფორმაციით, მუნიციპალიტეტის გამგეობაში აშკარად შეინიშნება მოქალაქეთა სიმრავლე, რომლებიც გამგეობას ერთჯერადი დახმარების თხოვნით მიმართავენ.

<u>ლანჩხუთი</u>

13 ივლისს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ცვლილება შეიტანა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, რის საფუძველზე 2,084,292 ლარით გაიზარდა ინფრასტრუქტურული ობიექტების რეაბლიტაციისთვის გამოყოფილ თანხები, მათ შორის სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებისთვის გამოიყო 1,360,000 ლარი.

მიმდინარე ხარჯებისთვის დაფინანსება გაეზარდა რამდენიმე არასამეწარმეო იურიდიულ პირს, მათ შორის „საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრს“, რომელიც ახორციელებს მუნიციპალიტეტში ფერმერული მეურნეობის, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმისა და მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობას.

<u>ოზურგეთი</u>

- 21 აგვისტოს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 104,947 ლარით გაიზარდა. გაზრდილი ბიუჯეტის ხარჯზე 10,000 ლარით გაიზარდა მოქალაქეთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა, რომელსაც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა ახორციელებს და რომელიც მოსახლეობისათვის 150 ლარამდე ღირებულების მედიკამენტებით უფასოდ დახმარებას ითვალისწინებს.

- 21 აგვისტოს, ქალაქ ოზურგეთის საკრებულომ ცვლილება შეიტანა 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესში. კერძოდ, პროექტს დაემატა სპეციალური ქვეპუნქტი, რომელიც ითვალისწინებს „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირების კომუნალური გადასახადებისათვის 100 ლარის ოდენობით დახმარებას“.

- ამავე სხდომაზე, საკრებულომ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად არაფინანსური აქტივებიდან ბიუჯეტი 300,000 ლარით გაიზარდა. გაზრდილი შემოსავალი გადანაწილდა შემდეგ მიმართულებებზე: ინფრასტრუქტურული მშენებლობა - 255,000 ლარი (საგზაო - 76,200; ბინათმშენებლბა - 54,100; კეთილმოწყობის სამუშაოები - 124,700); ჯანმრთელობის დაცვა და სოც. უზრუნველყოფა - 45,000 ლარი (შეჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურება - 5,000; მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარება - 9,500; ვეტერანთა დახმარება – 9,500 ლარი, უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დახმარება ბინის ქირით - 5,000; ერთჯერადი ფულადი დახმარება - 12,000 ლარი).

ქედა

- 30 ივნისს ქედის საკრებულომ ცვლილება შეიტანა ადგილობრივ ბიუჯეტში, რომლის საფუძველზე ძირითადად დაიგეგმა ჯანდაცვისა და სოციალური ტიპის პროექტების განხორციელება. გაიზარდა საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზებული სახურავების მიზნობრივი პროგრამა 17,500 ლარით, ასევე სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის ყოველდღიური, კვებით უზრუნველყოფის პროგრამა 17,500 ლარით, ერთდჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფი პროგრამა 11,700 ლარით. ასევე ჯანდაცვის მიმართულებით 4,600 ლარი გამოიყო ეპილეფსიით დაავადებულთა სპეციფიკური მედიკამენტების უზრუნველყოფის პროგრამის ნაწილში, ხოლო მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის 25,400 ლარის ოდენობით.

  მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, შეიქმნა სარეზერვო ფონდი 85,000 ლარის ოდენობით. სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილ თანამდებობის პირად მუნიციპალიტეტის გამგებლი განისაზღვრა.

- 25 აგვისტოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამებში ცვლილებები დაამტკიცა. კერძოდ ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამას დაემატა - 1,040 ლარი, ხოლო კულტურულ ღონისძიებათა პროგრამას - 1,562 ლარი. აღნიშნულ პროგრამებზე თანხის დამატება მოხდა ახალგაზრდულ, კულტურისა და განათლების პროგრამების ეკონომიის ხარჯზე.

ხულო

ივნისი-აგვისტოს თვეებში განხორციელებული ცვლილების თანახმად, ხულოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გაიზარდა 35,754, რის საფუძველზეც დაიგეგმა სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების განხორციელება. თანხები გამოიყო სოციალურად დაუცველ გარდაცვლილ პირთა დაკრძალვის ხარჯების დასაფარად 3,000 ლარის ოდენობით, ასევე ფერმერებისა და აგრო მეწარმეების ხელშესაწყობად განისაზღვრა 3,500 ლარის ფარგლებში მიზნობრივი პროგრამის განხორციელება.

ცვლილებები შეეხო ჯანდაცვის პროგრამასაც, ეპილეფსიით დაავადებული მოქალაქეებისთვის მედიკამენტებით უზრუნველყოფისთვის განისაზღვრა 13,000 ლარი, ცერებრალური დამბლით დაავადებულ და ადრეული განვითარების პროგრამაში ჩართულ ბავშვთა რეაბილიტაციის კურსებზე საკომპენსაციო თანხებით უზრუნველყოფისთვის კი, 10,000 ლარი.

ფოთი

ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ივნისი-აგვისტოს თვეში განხორციელდა 3 ცვლილება. პირველი ცვლილების საფუძველზე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გაიზარდა 4,660,400 ლარით, მეორე ცვლილებით ბიუჯეტის ზრდა 5,043,400 ლარით მოხდა, ხოლო მესამე ცვლილების საფუძველზე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტს ტრასფერის სახით 5,303,400 ლარი გადაეცა.

ინფრასტრუქტურული პროექტების ხარჯვითი ნაწილის შემცირების ხარჯზე 4,000 ლარით გაიზარდა „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" ხარჯები. ფოთის მერის ბრძანების საფუძველზე „ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამის" ხარჯი შემცირდა 2,500 ლარით. აღნიშნული თანხა გადანაწილდა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამაზე, რომელიც განისაზღვრა 196,600 ლარით.

ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებებით დაიგეგმა ინფრასტრუქტურული და კულტურული ღონისძიებების დაფინანსება, გზების და სხვადასხვა ობიექტების რეაბილიტაცია.

<u>ქუთაისი</u>

- 22 აგვისტოს ქუთაისის საკრებულომ რიგგარეშე სხდომაზე მხარი დაუჭირა საკითხს, რომლის თანახმად ქუთაისის მერია 6 მილიონი ლარის სესხებას ცენტრალური ბიუჯეტიდან აპირებს. ქუთაისის მერი აცხადებს, რომ ქალაქის ხელისუფლებას დაწყებული აქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი და სესხი ამ პროექტების დასასრულებლად არის საჭირო. მერის განმარტებით, გადასახადები, რომლებიც ბიუჯეტში უნდა შევიდეს, შემოდის სექტემბრისა და ნოემბრის თვეებში, შესაბამისად, იმისათვის, რომ პროექტები არ შეჩერდეს ცენტრალურ ხელისუფლებას წლის ბოლომდე უპროცენტო სესხი სთხოვეს, რასაც დეკემბრის ბოლოს გაისტუმრებენ. საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატების განმარტებით, ეს საკითხი პირდაპირ უკავშირდება არჩევნებს. მათი თქმით, ადგილობრივი ხელისუფლება ფინანსურ ადმინისტრაციულ რესურსს იყენებს ხალხის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად. ქალაქის მერი ბრალდებას სიცრუეს უწოდებს, და აღნიშნავს, რომ არ ხდება არც ერთი ახალი პროექტის დამატება, არამედ დაწყებულის დასრულება.[12]

- 11 აგვისტოს, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე ქუთაისის ბიუჯეტი 1,067,000 ლარით გაიზარდა. ქალაქის ვიცე-მერის, კოტე ქავთარაძის თქმით, ადგილობრივმა ბიუჯეტმა შემოსავლები ძირითადად სათამაშო ბიზნესიდან და პრივატიზაციიდან მიიღო. გაზრდილი ბიუჯეტი სხვადასხვა მიმართულებითაა გადანაწილებული, მათ შორის, გაიზარდა დაფინანსება ქუთაისში მდებარე კორპუსების რეაბილიტაციისათვის, რამაც სხდომაზე ოპოზიციური დეპუტატების უკმაყოფილება გამოიწვია. საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატის ნატო ქათამაძის განმარტებით, ქუთაისის მერი ამ პროგრამას ფუფუნების საგანს უწოდებდა და ამბობდა, რომ რეაბილიტაციისთვის საჭირო თანხა ბიუჯეტს არ გააჩნია, ხოლო არჩევნების მოახლოებასთან ერთად პირიქით - ზრდის ბიუჯეტს. ნატო ქათამაძე მიიჩნევს, რომ აღნიშნული ცვლილება ამომრჩევლის გულის მოსაგებად დაიგეგმა. ქუთაისის მერი, შოთა მურღულია აღნიშნულს სიცრუეს უწოდებს. მისი თქმით, მუნიციპალიტეტი აპირებს ყველა იმ კორპუსის რეაბილიტაციას, რომლის მაცხოვრებლებიც 10 პროცენტიან თანადაფინანსებას მოაგროვებენ.

[12]იხ. ვიდეოჩანაწერი: www.myvideo.ge/tv/rioni/2017-08-22/20:35:37
http://www.kutaisipost.ge/akhali-ambebi/article/8777-quthaisis-meria-6-mln-laris-seskhs-ighebs

სამტრედია

2017 წლის 1 ივნისიდან 7 აგვისტომდე მიმდინარე წლის ბიუჯეტში განხორციელდა სამი ცვლილება. საბიუჯეტო ცვლილებები ძირითადად ინფრასტრუქტურულ პროექტებზე განხორციელდა, კერძოდ, დაფინანსდა გზების, ხიდების, ბოგირების, სკვერების მოწყობა და სხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებები. 17 ივლისის #მე-15 დადგენილებით სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 901,800 ლარით, მათ შორის, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ივლისის #1401 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 741,800 ლარი. გაზრდილი ადგილობრივი შემოსავლები მთლიანად მიემართა ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეკონსტრუქციის, ექსპლუატაციისა და სოციალური პროგრამების დაფინანსებაზე. სოციალური პროგრამების ნაწილში გაიზრდა სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარებები. კერძოდ, მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურება, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა და ერთჯერადი დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში.

ზესტაფონი

ივნისი-აგვისტოს პერიოდში ბიუჯეტში განხორციელდა ერთი ცვლილება. კერძოდ, მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახების ფინანსური დახმარებისთვის სოციალური დაცვის სამსახურის პროგრამული ბიუჯეტი 50,000 ლარით გაიზარდა.

თერჯოლა

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ივნისი-აგვისტოს თვეებში ბიუჯეტში 4 ცვლილება განახორციელა. 2 აგვისტოს განკარგულებით უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების ერთჯერადი დახმარების პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 170,000 ლარით. 2 აგვისტოს განკარგულებით ცვლილება შევიდა 2017 წლის 10 იანვრის განკარგულებაში და მედიკამენტებით დახმარების პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 70,000 ლარით. განმარტებითი ბარათიდან ჩანს, რომ ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაზრდილია 353,500 ლარით.

ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 1 ივნისიდან 5 აგვისტოს ჩათვლით ადგილობრივ ბიუჯეტში 4 ცვლილება განახორციელა, რომელიც ძირითადად შეეხო ინფრასტრუქტურული პროგრამების და 2017 წლის ივნისში მომხდარ სტიქიის შედეგად სალიკვიდაციო ღონისძიებების დამტკიცებას. სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებში ცვლილებები არ შესულა.

ჩოხატაური

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის #824 განკარგულებით „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 700 ათასი ლარი. აღნიშნული თანხის დამატების შედეგად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საერთო მოცულობა 7,779.9 ათასი ლარი გახდა. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნაციონალური მოძრაობის ფრაქციის თავმჯდომარის, დიმიტრი კორიფაძის ინფორმაციით, ბიუჯეტის გაზრდის შემდეგ, 2017 წლის 26 აპრილის სტიქიის შედეგად დაზარალებულთა რაოდენობა 173 ოჯახიდან 230-მდე გაიზარდა.

„სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიანმა დამკვირვებელმა სტიქიით დაზარალებულთა სიაში მითითებული ოჯახების ნაწილი გადაამოწმა. აღმოჩნდა, რომ რამდენიმე ოჯახმა დახმარების სახით მუნიციპალიტეტისგან თუნუქის სახურავები მიიღეს, თუმცა მათი სახლები სტიქიის დროს არ დაზარალებულან. მაგალითად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუკისციხეში დოდო გურგენიძის ოჯახს სახლისთვის თუნუქის სახურავი გადაეცა მიუხედავად იმისა, რომ გურგენიძის სახლი სტიქიის შედეგად არ დაზიანებულა. მისი სახლი 25 წელია დაკეტილია და იქ არავინ ცხოვრობს. თუნუქის სახურავები გადაეცა აგრეთვე იმ ოჯახებს, რომელთა სახლის სახურავები სიძველის გამო საჭიროებენ გამოცვლას.

„სამართლიან არჩევნების“ დამკვირვებლის ინფორმაციით, ძირითადად, ამ კრიტერიუმით დაკმაყოფილდა იმ ოჯახების უმეტესობა, რომლებიც „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები, ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულების ნათესავები და სოფლებში მაჟორიტარი დეპუტატების მხარდამჭერები ან ახლობლები არიან.

სახურავებისა და სამშენებლო მასალების გადაცემის პირველი ეტაპი დასრულებულია, ხოლო მეორე ეტაპი უახლოეს მომავალში დაიწყება.

შუახევი

ივნისი-აგვისტოს თვეებში განხორციელებული ცვლილებებით შუახევის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გაიზარდა 4,215,642 ლარით. აქედან ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების განსახორციელებლად გამოიყო 191,900 ლარი; მათ შორის, 119,900 ლარი გამოიყო სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის საცხოვრისით უზრუნველყოფისთვის, ხოლო 40,000 ლარი მძიმე სოციალურ პირობებში მცხოვრებთათვის სახლის სახურავების რეაბილიტაციისთვის. დარჩენილი თანხის ნაწილი ასევე გადანაწილდა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროგრამების დასაფინანსებლად, მათ შორის, დაიგეგმა რამდენიმე სოფელში გზების სარეაბილიტაციო და სხვადასხვა ობიექტების სარემონტო სამუშაოების განხორციელება.

თბილისი

საკრებულოს 2017 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილების საფუძველზე თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სოციალური დაცვის პროგრამები გაიზარდა 5,080,000 ლარით. აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე სოციალური ღონისძიებების განსახორციელებლად გამოიყო 4,000,000 ლარი. რაიონების მიხედვით განისაზღვრა სოციალური დახმარებისთვის

განსხვავებული ოდენობის თანხების გადაცემა, მაგალითად ნაძალადევის რაიონს გამოეყო 110,000 ლარი, დიდუბის რაიონს - 50,000, ვაკის რაიონს 40,000 ლარი და სხვა.

გაიზარდა ჯანდაცვის პროგრამაც 207,861 ლარით, რაც მოხმარდება არაგადამდებ დაავადებათა კონტროლის, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციისა და C ჰეპატიტის დიაგნოსტიკისთვის არსებულ პროგრამებს.

<u>გარდაბანი</u>

გარდაბნის მუნიციპალიტეტში ივნისი-აგვისტოს თვეებში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გარდაბნის მუნიციპალიტეტს გამოეყო 950,000 ლარი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად. ასევე გამოიყო თანხა შიდა გზების რეაბილიტაციისთვის 1,000,000 ლარის ოდენობით.

<u>დუშეთი</u>

დუშეთის მუნიციპალიტეტში ბიუჯეტში ივნისი-აგვისტოს თვეებში განხორციელდა ორი ცვლილება. სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონალური და ამბულატორიული მომსახურებისთვის გამოიყო 25,000 ლარი, ასევე გაიზარდა მოქალაქეებისთვის სტაციონალური და ამბულატორიული მომსახურების დაფინანსება 19,000 ლარის ოდენობით. დამატებით თანხები გამოიყო ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად. დაბა ფასანაურში საბავშო ბაღის გათბობის სისტემის მოსაწყობად გამოიყო 22,371 ლარი, ხოლო სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მოსაწყობად 8,077 ლარი.

<u>ლაგოდეხი</u>

ივნისი-აგვისტოს თვეებში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე სოციალური პროექტების მოცულობა გაიზარდა 90,000 ლარით. გაიზარდა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარების პროგრამა, თანხა გამოეყო ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის განვითარების ცეტრს. 7,400 ლარით გაიზარდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ღონისძიებებისთვის გამოყოფილი ხარჯებიც.

578,519 ლარი გამოიყო ინფრასტუქტურული პროექტების დასაფინანსებლად, რის ფარგებშიც დაიგეგმა გზებისა და სხვადასხვა ობიექტების მშენებლობა/რეაბილიტაცია.

<u>ახმეტა</u>

ივნისი-აგვისტოს პერიოდში ცვლილება განხორციელდა ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სოციალური და ინფრასტრუქტურული პროგრამების ნაწილში. კერძოდ, მოსახლეობის სოციალური დახმარებისათვის გამოიყო 498,500 ლარი.

ინფრასტრუქტურული პროექტების მოცულობა გაიზარდა 1,090,100 ლარით, რის ფარგლებში დაიგეგმა შიდა გზებისა და სხვადასხვა ობიექტების სარეკონსტრუქციო სამუშაოების გახორციელება.

<u>ბათუმი</u>

1 ივნისიდან 7 აგვისტომდე პერიოდში ცვლილებები შევიდა ბათუმის ბიუჯეტში. ჯანდაცვის პროგრამა გაიზარდა 40 ათასი ლარით, კერძოდ ამ თანხით სრულად გაიზარდა მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების ქვეპროგრამა. საბიუჯეტო ზრდა მოხდა როგორც საბიუჯეტო ხარჯების დანაზოგით, ასევე ტრანსფერით.

ინფრასტუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარების პროგრამა გაიზარდა 8,287,800 ლარით. კერძოდ, გაზრდილი თანხა ქვეპროგრამების მიხედვით ასე გადანაწილდა: საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 2,221,600, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის და სერვისის განვითარება - 2,323,600 ლარით, საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება - 1,619,600, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება - 295,200 ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა, ავარიული შენობების რეაბილიტაცია და დემონტაჟი - 1,761,600 ლარით, ქალაქის დაგეგმარება - 66,200 ლარით. საბიუჯეტო ზრდა მოხდა როგორც საბიუჯეტო ხარჯების დანაზოგით, ასევე ტრანსფერით.

<u>ცაგერი</u>

ივნისი-აგვისტოს თვეში ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებებით ძირითადად მოხდა ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტებისთვის განსაზღვრული თანხების ზრდა. გამოიყო თანხა სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად 58,500 ლარი ოდენობით. გაიზარდა ქალაქის განვითარების გეგმის საპროექტო და ექსპერტიზის, სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების ხარჯები 81,151 ლარით, ხოლო მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოების ჩასატარებლად (სკვერებისა და ფასადების მოწყობა) დაემატა 45,000 ლარი.

2017 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული გაუნაწილებელი თავისუფალი ნაშთი, 11,800 ლარი, გადანაწილდა კომუნალურ მომსახურეობის ხარჯების დასაფარად, ხოლო თანხის ნაწილი დაემატა მუნიციპალიტეტის გამგეობას. ცაგერის მუნიციპალიტეტს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოეყო 1,425,000 ლარი, რომელიც მოხმარდება სტიქიით დაზიანებული გზების სარემონტო სამუშაოებს.

<u>ამბროლაური</u>

ივნისი-აგვისტოს პერიოდში ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებებით თანხები გამოიყო ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად. მათ შორის, საავტომობილო გზების რეაბილიტაციისთვის გათვალისწინებულ იქნა 1,661,745 ლარი, წყალმომარაგების სისტემის გასამართი სამუშაოების

ჩასატარებლად 249,530 ლარი, მუნიციპალიტეტის კულტურული და საგანმანათლებლო ცენტრის მოსაწყობად 275,596 ლარი.

ადგილობრივი შემოსავლების სახსრები, რომლებიც გათვალისწინებული იყო რეგიონალური პროექტების თანადაფინანსებისათვი ტენდერების შემდეგ გამოთავისუფლდა და მიემართა ტექნიკური ზედამხედველობის შესყიდვის თანადაფინანსებისათვის. ტურისტული ობიექტების, წყაროების კეთილმოწყობისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მოედნის მოწყობის სამუშაოებისათვის გამოიყო 241,812 ლარის, ხოლო ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სტადიონების მოსაწყობად 285,000 ლარი.

<u>საჩხერე</u>

ივნისი-აგვისტოს თვეებში საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელდა ოთხი ცვლილება. საბიუჯეტო ცვლილებები ძირითადად შეეხებოდა ინფრასტრუქტურულ და სოციალურ მიმართულებას. ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად გამოიყო 2,746,668 ლარი, სოციალური პროგრამებისთვის 100,000 ლარი, აქედან ავადმყოფთა სოციალური დაცვისთვის 60,000 ლარი, ხოლო ბავშვთა სოციალური დაცვისთვის 40,000 ლარი.

ცვლილებების თანახმად, მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად დასახელდა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რის ფარგებშიც დაიგეგმა დასუფთავების, გარე განათების ქსელის გასაფართოებელი, სამშენებლო/სარეაბილიტაციო, საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა/შენახვასთან, სანიაღვრე არხების გაწმენდასთან და სპორტული მოედნების მოვლასთან დაკავშირებული სამუშაოები.

<u>ხარაგაული</u>

ივნისი-აგვისტოს პერიოდში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებები შეეხო სოციალურ და ინფრასტრუქტურულ პროექტებს. უსინათლოთა არაფორმალური განათლების ხელშეწყობის პროექტის განსახორციელებლად გამოყოფილი 7,200 ლარი გადატანილ იქნა კულტურის განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამაში. ხიდრის, ბორითის, წყალაფორეთის საბავშვო ბაღების მშენებლობისთვის გამოიყო 9,300 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციოდ 1,900 ლარი, 53,000 ლარი გადანაწილდა გზების მოასფალტებისთვის, საავადმყოფოს ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების წყალმომარაგების სისტემის მოსაწყობად გამოიყო 3,700 ათასი ლარი.

<u>ბაღდათი</u>

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ივნის-აგვისტოში განხორციელებული ცვლილებები შეეხო ინფრასტრუქტურულ პროექტებს.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ბაღდათის მუნიციპალიტეტს გამოეყო 1,245,300 ლარი. აქედან ადგილობრივი გზების რეაბილიტაციისთვის განისაზღვრა 991,300 ლარი, სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი სამუშაოები განსახორციელებლად 254,000 ლარი. შემცირდა ადგილობრივი გზების რეაბილიტაციისთვის განსაზღვრული თანხები 22,4 ათასი ლარით, რაც გადანაწილდა სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი სამუშაოებისა, ასევე

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურის ობიექტების სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად.

შემცირდა სპორტული ღონისძიებების დაფინანსების პროგრამა 2,5 ათასი ლარით რაც გადანაწილდა ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვისა და ეკლესიის ხელშეწყობის პროგრამის დასაფინანსებლად.

<u>ვანი</u>

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ივნისი-აგვისტოს პერიოდში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება გაიზარდა 697,000 ლარით, აქედან 201,700 ლარი გამოიყო სოფელ უხუთის საბავშვო ბაღის მშენებლობისთვის, 199,500 ლარი ვანში 26 მაისის ქუჩაზე სკვერის მოწყობისთვის, ხოლო 199,500 ლარი ვანში თავისუფლების ქუჩაზე სკვერის რეაბილიტაციისათვის. 2017 წლის 7 ივლისის ცვლილებებით გაიზარდა მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდი 20,000 ლარით, გამგეობის ხარჯები 2,000 ლარით, ხოლო ურბანული ტერიტორიის კეთილმოწყობისთვის განისაზღვრა 7,200 ლარი.

<u>ხონი</u>

ხონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ივნისი-აგვისტოს თვეებში განხორციელებული ცვლილება შეეხო ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო 135,522 ლარი სხვადასხვა ობიექტების მშენებლობისა და რეაბილიტაციისთვის.

<u>ტყიბული</u>

ტყიბულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელდა ერთი ცვლილება, კერძოდ, მოსახლეობისთვის სხვადასხვა სოციალური დახმარების უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობის მიზნით ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის პროგრამული ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან 2,700 ლარი გადატანილი იქნა ინდივიდუალური დახმარების ქვეპროგრამაში.

სპორტისა და დასვენების ობიექტების მოწყობისათვის გამოყოფილი თანხით, 30,000 ლარით, მოხდა გამგეობის არაფინანსური აქტივების ზრდა. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციისთვის გამოიყო 70,000 ლარი, ასევე დადგინა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისთვის 141,892 ლარის გამოყოფა. ტყიბულის მუნიციპალიტეტს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოეყო 906,400 ლარი შიდა საუბნო გზების ასფალტ-ბეტონის საფარით მოწყობის მიზნით.

<u>ზუგდიდი</u>

ივნის-აგვისტოში ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში განხორციელდა ორი ცვლილება: პირველი ცვლილება შეეხებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ქალაქის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტისთვის კაპიტალური და სპეციალური

ტრანსფერების გადაცემას, რის შედეგადაც ბიუჯეტის შემოსულობები გაიზარდა 601,100 ლარით, ხოლო მეორე ცვლილების საფუძველზე მოხდა ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის ფულადი ასიგნებების გადანაწილება 588,700 ლარის ოდენობით, სანიაღვრე და წყალსაწრეტი სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად.

<u>წალენჯიხა</u>

ივნისი-აგვისტოს თვეებში წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებები შეეხო სოციალურ და ჯანდაცვის პროგრამებს. გაიზარდა სოციალურად დაუცველ ოჯახთა ერთჯერადი დახმარების პროგრამა 10 ათასი ლარით, ხოლო ჯანდაცვის პროგრამა 40 ათასი ლარით. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წალენჯიხის მუნიციპალიტეტს მიქავას თემის ტერიტორიული ორგანოს გზის რეაბილიტაციისათვის გამოეყო 950,000 ლარი. მიქავას თემის ტერიტორიული ორგანოს გზის რეაბილიტაციისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანადაფინანსების სახით დამატებით გამოიყო 38,000 ლარი.

<u>ჩხოროწყუ</u>

ივნისიდან აგვისტომდე ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე ბიუჯეტი გაიზარდა 767,349 ლარით. სტიქიის შედეგად დაზარალებულებისთვის გამოიყო 169,700 ლარი, ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად კი განისაზღვრა 78,385 ლარი, თანხის ნაწილი გადანაწილდა სხვადასხვა ტიპის სამშენებლო და საპროექტო ღონისძიებების ჩასატარებლად.

<u>წალკა</u>

წალკის მუნიციპალიტეტში ივნისი-აგვისტოს თვეებში განხორციელებული ცვლილებებით თანხა გამოიყო ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წალკის მუნიციპალიტეტს გადაეცა 943,223 ლარი, რითაც დაიგეგმა გზების და სხვადასხვა ობიექტების სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება.

<u>თეთრიწყარო</u>

ივნისი-აგვისტოს პერიოდში თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილება ძირითადად შეეხებოდა ინფრასტრუქტურულ და სოციალურ პროგრამებს.

ბიუჯეტის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად დასახელდა მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვა. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად

დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს. განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსება გაიზარდა 20,000 ლარით.

<u>რუსთავი</u>

რუსთავის მუნიციპალიტეტის ივნისი-აგვისტოს თვეებში განხორციელებული ცვლილებები ძირითადად შეეხო ჯანდაცვის და სოციალურ პროგრამებს. რუსთავის საკრებულოს 2017 წლის 12 ივლისის N1196 განკარგულების თანახმად, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის შეღავათის დაწესების პროგრამის ბიუჯეტი შემცირდა 80,000 ლარით, რაც დაემატა მუნიციპალიტეტის ზოგიერთი ააიპ-ის და სსიპ-ის თანამშრომლებისთვის ტრანსპორტით მგზავრობის შეღავათის დაწესების პროგრამის ბიუჯეტს. ა/წ 15 ივნისის N1176 განკარგულებით, ცვლილებები განხორციელდა მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების პროგრამის ნაწილში, რასაც დაემატა 70,000 ლარი, ასევე გაიზარდა აუტიზმის, გონებრივ განვითარების და დაყოვნების მქონე ბავშვთან რეაბილიტაციის პროგრამის ხარჯები 15,000 ლარით და მოქალაქეთა მედიკამენტებით დახმარების პროგრამა 20,000 ლარით.

<u>თეთრიწყარო</u>

ივნისი-აგვისტოს პერიოდში თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებები ძირითადად შეეხებოდა ინფრასტრუქტურულ პროგრამებს. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თეთრიწყაროს გამოეყო 624,800 ლარი, რითაც დაიგეგმა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზებისა და სხვადასხვა ობიექტების რეაბილიტაცია.

<u>კასპი</u>

ივნისი-აგვისტოში კასპის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებები ძირითადად შეეხებოდა ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რის საფუძველზეც 51,600 ლარით გაიზარდა ბიუჯეტი. ამ ცვლილებების საფუძველზე, მრავალბინიანი ამხანაგობების დაფინანსების პროგრამამ იმატა 20,000 ლარი. დაიგეგმა ასევე სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

<u>გორი</u>

გორის მუნიციპალიტეტში ივნისი-აგვისტოს თვეში განხორციელებული ცვლილებები შეეხო ინფრასტრუქტურულ და სოციალურ პროექტებს.

ცვლილება შეეხო ონკოლოგიური პაციენტების სამედიცინო და მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამას, რის ფარგლებშიც გამოყოფილი სოციალური დახმარება გაიზარდა 50,000 ლარით.

გაიზარდა სოფლად არსებული კლუბების, სამუსიკო სკოლების, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების რეაბილიტაციის პროგრამა 70,000 ლარით. ასევე რიგი ცვლილებები განხორციელდა ინფრასტრუქტურული პროექტების ნაწილში, გაიზარდა გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის ხარჯები 140,742 ლარით, ასევე სოფლის გზებისა და ხიდების შეკეთებისთვის გამოიყო 39,127 ათასი ლარი.

<u>ასპინძა</u>

ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებებით მოხდა ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება. გაიზარდა კულტურის ობიექტების მშენებლობისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 36,920 ლარით, ხოლო საგზაო ინფრასტრუქტურის არაფინანსური აქტივების ზრდა მოხდა 8,880 ლარით.

<u>ახალქალაქი</u>

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე სოციალური და ჯანდაცვის პროექტები გაიზარდა 40,000 ლარით.

XIV. უფასო სამედიცინო სერვისი მუნიციპალიტეტებში

<u>დედოფლისწყარო</u>

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, გამგებლის ინიციატივით ხორციელდება პროექტი „ერთი დღე სოფელში“, რომლის ფარგლებში მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში მოსახლეობას ხვდებიან.

ისინი პირადად ისმენენ ადგილობრივების პრობლემებს, რომელიც ამა თუ იმ სოფელში აწუხებთ. მაგალითად, 8 და 9 აგვისტოს გამგებელი სოფელ თავწყაროსა და ჭოეთის მოსახლეობას შეხვდა და მათ პრობლემების უმოკლეს ვადებში მოგვარებას დაჰპირდა.

საგულისხმოა, რომ გამგებელი მოსახლეობას „საქართველოს წითელი ჯვრის“ დედოფლისწყაროს ექიმებთან ერთად ხვდება, რომლებიც მოსახლეობას ექოსკოპიურ, კარდიოლოგიურ და სხვა ტიპის სამედიცინო სერვისს სთავაზობენ.

<u>აბაშა</u>

ივნისის ბოლოსა და ივლისის დასაწყისში აბაშის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მოსახლეობისთვის კლინიკა „ევექსმა“ განახორციელა უფასო სამედიცინო შემოწმება.

10 აგვისტოს აბაშის მუნიციპალიტეტის ფეისბუქის გვერდზე კვლავ გავრცელდა ინფორმაცია, რომ 17 აგვისტოს კორპორაცია ,,ევექსის“ ჰოსპიტალში უფასოდ ჩატარდებოდა სხვადასხვა სახის სამედიცინო გამოკვლევები: საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი 25-დან 60 წლამდე ასაკის ქალებისათვის, პროსტატის კიბოს სკრინინგი 50-დან 60 წლამდე ასაკის მამაკაცებისათვის; ასევე, განცხადების თანახმად, პაციენტებს საშუალება ექნებოდათ

კონსულტაცია გაევლოთ ოფთალმოლოგ - კონსტანტინე გელენიძესთან, რომელიც შეარჩევდა საოპერაციო პაციენტებს.

მათ ოპერაცია ადგილზე ჩაუტარდებოდათ. აღნიშნულის შესახებ „სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიანი დამკვირვებელი ესაუბრა კლინიკის ხელმძღვანელ სევერიონ ფოიავას, რომელიც განმარტავს, რომ კლინიკამ ტენდერში გაიმაჯვა და 2 წლის განმავლობაში პერიოდულად მოსახლეობისთვის უფასო კვლევების განხორციელების ვალდებულება აქვს.

<u>ოზურგეთი</u>

29 ივლისს და 12 აგვისტოს, ქალაქ ოზურგეთის მერიის მიერ უფასო სამედიცინო მომსახურების საქველმოქმედო აქცია გაიმართა. მოსახლეობას სამედიცინო კვლევები და კონსულტაციები ბათუმის საერთაშორისო საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის ექიმებმა გაუწიეს. სამედიცინო აქციაში ქალაქის მერი ბეგლარ სიორიძეც ჩაერთო და მოსახლეობასთან ერთად ექოსკოპიური კვლევა თავადაც ჩაიტარა. აქცია საბავშვო ბაღის შენობაში გაიმართა. ოზურგეთის მერიის პრესსამსახურის ხელმძღვანელის, ხათუნა შარაძის თქმით, აქციის ინიციატივა ბათუმის საერთაშორისო საუნივერსიტეტო ჰოსპიტალიდან წამოვიდა და მერიის სამსახურმა მხოლოდ ინფორმაციის სააგენტოებითა და სოციალურ ქსელში გავრცელება უზრუნველყო. შარაძის განცხადებით, მერიის მხრიდან ფინანსური ხარჯი არ გაწეულა.[13]

<u>ქარელი</u>

9 აგვისტოს, ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერით და ინიციატივით ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრის სხვადასხვა პროფილის ექიმებმა გამართეს აქცია მოსახლეობის პროფილაქტიკური სამედიცინო გამოკვლევების მიზნით. პაციენტებს საშუალება ჰქონდათ ესარგებლათ სხვადასხვა პროფილის ექიმების მომსახურებით. გაიცა უფასოდ მედიკამენტები და ინსულინის საზომი აპარატები. ექიმები სულ 90 ბენეფიციარს მოემსახურნენ. მუნიციპალიტეტის გამგებლის ზაზა გულიაშვილის განცხადებით, აქცია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან არ დაფინანსებულა. მისი თქმით, მოსახლეობის პროფილაქტიკური გამოკვლევები მუნიციპალიტეტის ინიციატივით ჩატარდა, ხოლო გამგეობამ მათ შესაბამისი ფართი გამოუყო და ინვენტარით დაეხმარა.

<u>მესტია</u>

30 ივლისს, მესტიაში უფასო სამედიცინო გასინჯვების აქცია გაიმართა. აქცია საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა და შესაბამისი ინფორმაცია ორგანიზაციის ვებ-გვერდზეც არის განთავსებული. ადგილზე მობილიზებული იყო 15-მდე სხვადასხვა პროფილის ექიმი, რომლებმაც მოსახლეობას უფასო სამედიცინო მომსახურება გაუწიეს, ხოლო ექიმების დანიშნულების შესაბამისად, მოსახლეობას უფასო მედიკამენტებიც დაურიგდა.[14]

---

[13] იხ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია. http://bit.ly/2wL0csZ

[14] http://www.interpressnews.ge/ge/regioni/445594-mestiashi-ufaso-samedicino-gasinjvebis-aqcia-gaimartha.html?ar=A

XV. საჯარო შეხვედრები და საარჩევნო სუბიექტების დაპირებები

„სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიანი დამკვირვებლები ყველა საარჩევნო ოლქში აკვირდებიან პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო კამპანიას. ორგანიზაცია აღრიცხავს მხოლოდ იმ შეხვედრებს, რომლებსაც დამკვირვებლები უშუალოდ ესწრებიან.

„სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებლები 2017 წლის 24 ივლისიდან 4 სექტემბრის ჩათვლით პერიოდში საარჩევნო სუბიექტების მიერ გამართულ 82 საჯარო შეხვედრას დაესწრნენ.

შეხვედრების რაოდენობა პოლიტიკურ პარტიების მიხედვით:

1. „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - 9;
2. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - 28;
3. „მოძრაობა თავისუფლებისთვის - ევროპული საქართველო” – 40;
4. „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი” – 3;
5. გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა (ბურჯანაძე) – 2.

ორგანიზაციის გრძელვადიანი დამკვირვებლები საჯარო შეხვედრებისას კანდიდატებისა თუ პოლიტიკური პარტიების დაპირებებსაც აღრიცხავენ. წარმოგიდგენთ საარჩევნო სუბიექტების მიერ გაცხადებულ წინასაარჩევნო დაპირებებს როგორც ეს იქნა გაჟღერებული ამომრჩეველებთან შეხვედრებისას.

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“

- <u>ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულება და ახალი პროექტების ინიცირება:</u>
    - საგზაო ინფრანტრუქტურის გაუმჯობესება, კერძოდ ამბროლაური - ცაგერი - ქუთაისის გზის აღდგენა, ასევე ცაგერისა და ლენტეხის მუნციპალიტეტების რეგიონის ცენტრთან - ამბროლაურთან დამაკავშირებელი გზების მოწყობა;
    - მოდევნო წლისათვის დასრულდება კოპიტნარის აეროპორტთან დამაკავშირებელი სარკინიგზო ხაზის მშენებლობა და ქუთაისი დაიბრუნებს ძველ დიდებას - გახდება რეგიონის ცენტრი.

- <u>რეგიონული განვითარების ხელშეწყობა:</u>
    - მევენახეობის განვითარება; ხელს შეუწყობენ ტურიზმისა და საოჯახო სასტუმროების განვითარებას.

“ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”

- <u>ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულება და ახალი პროექტების ინიცირება:</u>
    - რკინიგზის გადატანა;
    - დაწყებული პროექტების სისრულეში მოყვანა;
    - ინვესტორების დაინტერესება ავლაბრის ტერიტორიით;
    - ინფრასტრუქტურის განვითარება და რეკრეაციული ზონების შექმნა;
    - წყლის სისტემის რეაბილიტაცია სოფელ მაწიმში და შიდა გზების მოწესრიგება.

- <u>რეგიონული განვითარების ხელშეწყობა:</u>
    - ბიუჯეტის მიზნობრივი გამოყენება და ორი მილიონი ლარის უკან, ცენტრალურ ბიუჯეტში დაბრუნება; მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარება ახალციხეში;
    - კასპის მუნიციპალიტეტის სოფლებში ბუნებრივი გაზის, სასმელი და სარწყავი წყლის და გზების რეაბილიტაცია;
    - აგრარული მეურნეობის განვითარება, სამაცივრე, სასაწყობე და გადამამუშავებელი ქარხნების შექმნა;
    - ქარელის მუნიციპალიტეტში სასმელი წყლის პრობლემის მოგვარება და გარე განათების მოწყობა.

- <u>სოციალური და ეკონომიკური პრობლემების მოგვარება:</u>
    - სოციალურად დაუცველთათვის შემწეობის აღდგენა და სპეციალური სადაზღვევო პაკეტის შემუშავება;
    - ახალგაზრდებისთვის სპორტული კლუბების შექმნა, დაფინანსება;
    - ახალგაზრდებისთვის სამუშაო ადგილების შექმნა.

„მოძრაობა თავისუფლებისთვის - ევროპული საქართველო”

- <u>ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულება და ახალი პროექტების ინიცირება:</u>
    - ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ავარიული კორპუსების და სახლების განახლება;
    - ინვესტორებთან თანამშრომლობა და ,,ხრუშოვკების'' პრობლემების მოგვარება;
    - ადგილობრივების დასაქმების საკითხის მოგვარება;
    - ხულო-ახალციხის მიმართულებით გზის რეაბილიტაცია;
    - ელემენტარული საცხოვრებელი პირობების, ეზოების, სადარბაზოების, კომუნიკაციების მოწესრიგდება;
    - სოფლებში საერთო კრებების დაფუძნება და საკონსულტაციო საბჭოების შექმნა;
    - სასმელი წყლის პრობლემის მოგვარება.
    - მოხდება სატრანსპორტო რეფორმა;
    - საარკინიგზო ტრანსპორტი გადაინაცვლებს ქალაქგარეთ;

- <u>რეგიონული განვითარების ხელშეწყობა:</u>
    - ხულო-ახალციხის მიმართულებით გზის რეაბილიტაცია;
    - ხულოს საავადმყოფოს გაუმჯობესება (ინტერიერის მოწესრიგება, სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება);
    - წყალტუბოს, როგორც კურორტის აღორძინება და მისი პოტენციალის სრულად გამოყენება;
    - საფეხმავლო ხიდის გაკეთება მელაანიდან (გურჯაანის მუნიციპალიტეტში) მეტრომშენისკენ მიმავალ გზაზე.თბილისში ცენტრალური პარკის მოწყობა;
    - მოხდება საზოგადოებრივი ტრანსპორტის განახლება ეკოლოგიურად სუფთა ავტოპარკით.

- <u>სოციალური და ეკონომიკური პრობლემების მოგვარება:</u>
    - მერიაში, საკრებულოსა და გამგეობებში პრემიებისა და დანამატების გაუქმება, ასევე თვითმმართველობის არჩევნებზე მოგებულ რაიონებში ბიუროკრატიული ხარჯების გაუქმება, რის ხარჯზეც მოსახლეობა პენსიაზე დანამატის სახით მიიღებს 50 ლარს (პენსიის ეტაპობრივი ზრდა); ოზურგეთში პენსია 20 ლარით მოიმატებს;
    - ტყიბულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ბიუროკრატიული ხარჯებისთვის განკუთვნილი თანხის შემცირება და ამ ფულით (ტყიბულის შემთხვევაში 25 ლარი) პენსიის გაზრდა;
    - სოციალური დახმარებების აღდგენა და მათი გაზრდა (50 ლარით);
    - ელემენტარული საცხოვრებელი პირობების მოგვარება, სადარბაზოების, ლიფტის, კომუნიკაციების მოწესრიგება;
    - გაუმჯობესებული სოციალური მდგომარეობა, ბევრი სამუშაო ადგილი;
    - გაზის ტარიფის დაკლება.
    - შეიქმნება 35 000 სამუშაო ადგილი;
    - დაიწევა ქონების გადასახადი;
    - მოხდება მცირე ბიზნესის ხელშეწყობა;

„გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“

- ახალი კადრები და ახალი გუნდი რომელიც უპასუხებს დღევანდელ გამოწვევებს;
- ნეპოტიზმის აღმოფხვრა და პროფესიონალი კადრებისთვის უპირატესობის მინიჭება.

XVI. სადამკვირვებლო მისიის შესახებ

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ წინასაარჩევნო გარემოს მონიტორინგს საქართველოს ყველა საარჩევნო ოლქში 70 გრძელვადიანი დამკვირვებლის მეშვეობით ახორციელებს.

წინასაარჩევნო პერიოდის დაკვირვების ძირითადი მიმართულებები მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობა;
- საარჩევნო სუბიექტების საჯარო შეხვედრები და პოლიტიკური საქმიანობა;
- საარჩევნო სუბიექტების მიერ ამომრჩევლებისთვის მიცემული ძირითადი დაპირებები;
- ზეწოლა/მუქარის ან სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევები;
- ამომრჩევლის მოსყიდვის სავარაუდო ფაქტები;
- ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შემთხვევები;
- ამომრჩეველთა სიების ფორმირება და სხვ.

მონიტორინგის პროცესში, ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს როგორც ადმინისტრაციული დაწესებულებებიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია, ასევე, უშუალოდ, საარჩევნო სუბიექტებისგან, მედია-საშუალებებისგან, არასამთავრობო ორგანიზაციებისგან და მოქალაქეებისგან მიღებული ინფორმაცია. „სამართლიანი არჩევნების“ მიერ მოპოვებული თითოეული ფაქტი მოწმდება უშუალო თვითმხილველებთან და შემთხვევის მონაწილე მხარეებთან.

დაკვირვების პარალელურად, ორგანიზაცია ინფორმაციას დაფიქსირებული დარღვევების შესახებ წარადგენს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისიის სხდომებზე მათზე დროული რეაგირების მიზნით.

„სამართლიანი არჩევნები“ პერიოდულად ახდენს საზოგადოების ინფორმირებას წინასაარჩევნო პერიოდში გამოვლენილი დარღვევებისა და დაფიქსირებული ტენდენციების შესახებ განცხადებებისა და ანგარიშების მეშვეობით.

წინასაარჩევნო პერიოდის ინციდენტებისა და სავარაუდო დარღვევების თითოეული ფაქტის შესახებ ინფორმაციას „სამართლიანი არჩევნები“ ასევე აქვეყნებს საქართველოს არჩევნების პორტალის ინციდენტების ინტერაქტიულ რუკაზე მისამართზე: http://www.electionsportal.ge/.

არჩევნების პორტალზე ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია თავადაც გამოაგზავნოს სავარაუდო საარჩევნო დარღვევის შესახებ ინფორმაცია SMS-ის მეშვეობით უფასო ნომერზე **90039** ან ვებ-პორტალზე: http://www.electionsportal.ge/geo/new_incident.

„სამართლიანი არჩევნები“ წინასაარჩევნო პერიოდზე დაკვირვებას ახორციელებს შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) მხარდაჭერით.